განმცხადებელი : საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
თარიღი : 18-10-2021
მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: : პრინციპი 1;პრინციპი 11

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები :

1. ტელეკომპანია ,,იმედის" ჟურნალისტი - **ნათია სონღულაშვილი**
2. ტელეკომპანია ,,იმედის" ჟურნალისტებმა/წამყვანებმა: ლევან ჯავახიშვილმა, ხატია ქვათაძემ, ლევან კვატაშიძემ და ნინო თოლორდავა.

სადავო მასალა :

1. ,,ნაცნობი შინაარსის სარჩელი, ნაცნობ დროს, განსხვავებული ავტორით", 2021 წლის 20 სექტემბერი, ტელეკომპანია ,,იმედი", https://www.facebook.com/tvimedi/videos/264276005548777/ .

2. საიას სარჩელი, 2021 წლის 20 სექტემბერი, ტელეკომპანია ,,იმედი", https://www.imedi.ge/ge/video/81282/saias-sarcheli#!?page=67.
3. ქრონიკა 17:00 საათზე - 20 სექტემბერი, 2021 წელი, ტელეკომპანია ,,იმედი", https://www.imedi.ge/ge/video/81297/qronika-1700-saatze--20-seqtemberi-2021-tseli#!?page=67 2:09 წუთიდან

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება :

პირველი სადავო სიუჟეტის - https://www.facebook.com/watch/?v=264276005548777 დასაწყისში წამყვანი ლევან ჯავახიშვილი ამბობს: ,,ნაცნობი შინაარსის სარჩელი, ნაცნობ დროს, განსხვავებული ავტორით" (აღნიშნული ასევე მითითებულია სიუჟეტის სათაურად). 0:20 წუთიდან წამყვანი ხატია ქვათაძე ამბობს: ,,რატომ ემთხვევა საია-ს საჩივარი ნაციონალების წლების წინანდელ სარჩელს და რატომ სწორედ არჩევნებამდე ორი კვირით ადრე. ორგანიზაციას ახლა თავის მართლება უწევს. საია-ში იმის განმარტებაც მოუხდათ, რატომ ინახავდნენ ამ გადაწყვეტილებას საიდუმლოდ ... ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ინტერესს ახლა ნაციონალური მოძრაობა იცავს".

ჟურნალისტი ნათია სონღულაშვილი, რომელმაც ინტერვიუ აიღო საია-ს თავმჯდომარისგან და სიუჟეტი მოამზადა, სიუჟეტში ამბობს, რომ ,,საკონსტიტუციო სასამართლოში ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სარჩელი შევიდა, რომელიც საარჩევნო ოლქების დაყოფას ეხება, თუმცა, ეს საია-ს მხოლოდ საარჩევნო კოდექსის მიღებიდან 3 თვის შემდეგ გაახსენდა. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში საია-ს არცერთ წარმომადგენელს ამ თემაზე ღიად არ უსაუბრია. აღმოჩნდა რომ პოლიტიკურ პარტიებთან დახურული შეხვედრები მიმდინარეობდა, ვისთან, ორგანიზაციის ხელმძღვანელი არ აკონკრეტებს. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია დღეს ზუსტად იგივე გზას გადის, რაც 5 წლის წინ ნაციონალურმა მოძრაობამ გაიარა, თუმცა წარუმატებლად. იგივე შინაარსის სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე განიხილა და არ დააკმაყოფილა. საია-ს მსგავსად ნაციონალური მოძრაობაც ოლქების საზღვრების არასწორად დადგენაზე საუბრობდა. არასამთავრობო ორგანიზაცია ამტკიცებს, რომ ოპოზიციური პარტიის სარჩელი განსხვავებული იყო და ის არჩევნების შედეგებს უკავშირდებოდა. თუმცა, ნაციონალური

მოძრაობის სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოს ვებ-გვერდზე მარტივად იძებნება და ასევე მარტივად იკითხება მისი შინაარსიც, ის სწორედ ოლქების საზღვრების დაყოფას ეხებოდა.“

ამ სიტყვების პარალელურად მაყურებელი ხედავს ნაციონალური მოძრაობის სარჩელიდან ამონარიდებს. აღნიშნული და თავად ჟურნალისტის სიტყვები მოწმობს, რომ ჟურნალისტს შეეძლო წაეკითხა და ზუსტად ენახა რას ეხებოდა ნაციონალური მოძრაობის სარჩელი და დარწმუნებულიყო საია-ს და ამ სარჩელის განსხვავებულობაში.

ამის მიუხედავად, ჟურნალისტმა წაიკითხა სარჩელი, მაგრამ განზრახ მიაწოდა მაყურებელს არასწორი ინფორმაცია და პირიქით, მაყურებელს მიუთითა, რომ თითქოს საია-ს თავმჯდომარე ავრცელებს მცდარ ინფორმაციას და ამას სარჩელიც მოწმობს. სინამდვილეში კი, ჟურნალისტმა განზრახ მოატყუა მაყურებელი. მას სულ მინიმუმ შეეძლო, ეკითხა და გადაემოწმებინა, ანალოგიური იყო თუ არა ეს საქმე.

სადავო სიუჟეტში ჟურნალისტი ამბობს, რომ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სარჩელი ნაციონალური მოძრაობის 2016 წლის სარჩელის ანალოგიურია, რომელიც არ დაკმაყოფილდა. ანალოგიური რომ არ არის ეს საქმე, ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ 2015 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ უჩა ნანუაშვილისა და მიხეილ შარაშიძის სარჩელის საფუძველზე არაკონსტიტუციურად სცნო ნორმა, როცა საპარლამენტო არჩევნებზე ვაკის 99 000 ამომრჩეველი და ყაზბეგის 5 000 ამომრჩეველი პარლამენტში ირჩევდნენ ერთი და იმავე რაოდენობის დეპუტატს.

საკონსტიტუციო სასამართლომ თქვა, რომ ირღვევა ხმის თანაბარი წონის უფლება, ვინაიდან ვაკელების ხმის წონა ყაზბეგელების ხმის წონასთან შედარებით 17-ჯერ ნაკლები იყო. საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილების შემდეგ პარლამენტმა მაჟორიტარული ოლქები გაამსხვილა. გლდანის ოლქს მიეცა რამდენიმე მაჟორიტარის არჩევის უფლება, იმიტომ რომ მისი მოსახლეობა აღემატებოდა მთელი ამბროლაური, ონი, ცაგერი, ლენტეხი, მესტიის მუნიციპალიტეტებს, ერთად აღებულს. რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთი ირჩევდა მხოლოდ ერთ მაჟორიტარს. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება შეგიძლიათ იხილოთ აქ https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=969.

2016 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ნაციონალური მოძრაობიდან არჩეული პარლამენტის წევრების სარჩელი, რომლებიც დავობდნენ ე.წ. ჯერი მანდერინგზე, მაგალითად, მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ ვანს და ხონს არ უნდა აერჩია საერთო მაჟორიტარი საქართველოს პარლამენტში, ვინაიდან ვანსა და ხონს შორის არის სამტრედია და ამ ორ მუნიციპალიტეტს არა აქვს საერთო საზღვარი. საკონსტიტუციო სასამართლომ ეს სარჩელი არ დააკმაყოფილა. ეს გადაწყვეტილება შეგიძლიათ ნახოთ https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1104.

2021 წლის 16 სექტემბერს საია-მ საკონსტიტუციო სასამართლოში გააგზავნა სარჩელი, რომლიც შეტანილია 4 მოსარჩელის სახელით.

ვასილ ჟიჟიაშვილი დავობს საარჩევნო კოდექსის 140-ე მუხლის მე-3 ნაწილის და საარჩევნო კოდექსის მეორე დანართის კონსტიტუციურობაზე. საარჩევნო კოდექსის 140-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე მაჟორიტარული საარჩევნო ოლქები იქმნება საარჩევნო კოდექსის მეორე დანართის შესაბამისად. სარჩელს თან ერთვის ამომრჩეველთა ერთიანი სიის ელექტრონული ვერსიის ასლი, საიდანაც ირკვევა, რომ ვასილ ჟიჟიაშვილი რეგისტრირებულია მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანში.

საარჩევნო კოდექსის მეორე დანართის თანახმად, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელი წეროვანის მაჟორიტარული ოლქის ნომერია 27.9. ამავე დანართის თანახმად, სოფელი

წეროვანიდან მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში აირჩევა ერთი მაჟორიტარი დეპუტატი. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივნის მოწოდებული ინფორმაციით, სოფელ წეროვანის **#27.9 მაჟორიტარულ ოლქში რეგისტრირებულია 7449 ამომრჩეველი.** საარჩევნო კოდექსის №2 დანართის მიხედვით, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ლისი არის **27.3 ადგილობრივი მაჟორიტარული ოლქი, საიდანაც ასევე აირჩევა ერთი დეპუტატი. ცესკოს მდივნის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სოფელ ლისში რეგისტრირებულია 1579 ამომრჩეველი.** სოფელ წეროვანში რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა თითქმის 5-ჯერ აღემატება სოფელი ლისის ამომრჩეველთა რაოდენობას, ამის მიუხედავად, ორივე ოლქიდან ხდება, საარჩევნო კოდექსის 140-ე მუხლის მე-3 პუნქტის და საარჩევნო კოდექსის მეორე დანართის საფუძველზე, ერთი და იმავე რაოდენობის - თითო-თითო მაჟორიტარი დეპუტატის არჩევა.

სადავო ნორმებით არ ხდება სოფელ წეროვანსა და სოფელ ლისს შორის ამომრჩეველთა განსხვავებული რაოდენობის მხედველობაში მიღება. ამის გამო, ხდება მოსარჩელის, როგორც სოფელ წეროვანში მცხოვრები მოქალაქის საარჩევნო ხმის წონის 5-ჯერ შესუსტება, სოფელ ლისში რეგისტრირებულ ამომრჩეველთან შედარებით. ამით კი ირღვევა კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული საარჩევნო ხმის თანაბარი წონის უფლება.

მოსარჩელე ვახტანგ მენაბდე სადავოდ ხდის საარჩევნო კოდექსის 140-ე მუხლის მეოთხე ნაწილის კონსტიტუციურობას. სარჩელს თან ერთვის ამომრჩეველთა ერთიანი სიის ელექტრონული ვერსიის ასლი, საიდანაც ირკვევა, რომ ვახტანგ მენაბდე რეგისტრირებულია №03 საარჩევნო ოლქში. ეს არის საბურთალოს საარჩევნო ოლქი. საარჩევნო კოდექსის 140-ე მუხლის მეოთხე ნაწილი იმპერატიულად ადგენს, რომ ქალაქ თბილისის საკრებულოს არჩევნებისათვის იქმნება 10 მაჟორიტარული ოლქი, რომლის საზღვრები ემთხვევა ქალაქ თბილისის 10 რაიონის ადმინისტრაციულ საზღვრებს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საარჩევნო კოდექსი თავად ჰყოფს თბილისს 10 საარჩევნო ოლქად, რაც იმავდროულად არის თბილისის ადმინისტრაციული ერთეულები - რაიონები. საარჩევნო კოდექსის 156-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თბილისი იყოფა 10 საარჩევნო ოლქად. ესენია: მთაწმინდის, ვაკის, საბურთალოს, კრწანისის, ისნის, სამგორის, ჩუღურეთის, დიდუბის, ნაძალადევისა და გლდანის საარჩევნო ოლქები. ზუსტად, ამ 10 ადმინისტრაციულ ერთეულად - რაიონად იყოფა ქალაქი თბილისი. საარჩევნო კოდექსის 155-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თბილისის საკრებულო შედგება 50 წევრისგან, რომელთაგან 10 წევრი აირჩევა ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ტერიტორიაზე. ამგვარად, მართალია, სადავო, საარჩევნო კოდექსის 140-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ცესკომ უნდა დაჰყოს თბილისი 10 მაჟორიტარულ ოლქად, თუმცა ამავე სადავო ნორმით, ცესკოს არა აქვს არავითარი დისკრეცია, ეს დაყოფა მოახდინოს იმგვარად, რომ თითოეულ ოლქში მოსახლეობის შეძლებისდაგვარად თანაბარი ამომრჩეველი მოხვდეს. ამის ნაცვლად, სადავო ნორმა ცესკოსგან მოითხოვს იმას, რომ საარჩევნო ოლქები შექმნას თბილისის გამგეობების სამოქმედო ტერიტორიაზე, თბილისის 10 რაიონში. სადავო ნორმა ცესკოს უსპობს შესაძლებლობას, გაჰყოს გლდანის რაიონი ორ მაჟორიტარულ ოლქად და მთაწმინდა და კრწანისი ერთ მაჟორიტარულ ოლქად გააერთიანოს, რათა უზრუნველყოფილი იყოს ამომრჩეველთა თანაბარი ხმის წონის პრინციპი. ამის სანაცვლოდ, სადავო ნორმა ცესკოსგან ითხოვს იმას, რომ თბილისის თითო-თითო მაჟორიტარი დეპუტატის არჩევა მოხდეს თბილისის 10 რაიონიდან: მთაწმინდიდან, საბურთალოდან, ვაკიდან, კრწანისიდან, ისნიდან, სამგორიდან, ჩუღურეთიდან, დიდუბიდან, ნაძალადევიდან და გლდანიდან. თითოეულ ჩამოთვლილ რაიონს თბილისის საკრებულოში უნდა ჰყავდეს ერთი მაჟორიტარი დეპუტატი.
ამგვარად, როგორც მთაწმინდიდან, ისე საბურთალოდან, მოსარჩელე ვახტანგ მენაბდის საარჩევნო ოლქიდან, ირჩევა თანაბარი რაოდენობის - ერთი დეპუტატი. ცესკოს მდივნის მოწოდებული ინფორმაციით, საბურთალოში რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 134582-ს, ხოლო მთაწმინდაზე - 53884-ს. ამგვარად, საბურთალოზე მაცხოვრებელი ამომრჩევლების რაოდენობა 2,5 ჯერ აღემატება მთაწმინდაზე რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობას, შესაბამისად, მოსარჩელის საარჩევნო ხმის წონა 2.5 ჯერ მცირდება მთაწმინდაზე

რეგისტრირებულ ამომრჩეველთან შედარებით. საარჩევნო კოდექსის 140-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს თითო მაჟორიტარის არჩევას თბილისის 10 რაიონიდან, ასუსტებს მოსარჩელე ვახტანგ მენაბდის ხმის წონას თბილისის საკრებულოში. ამით კი სადავო ნორმა ზღუდავს მოსარჩელის კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უფლებას.

მოსარჩელე ნონა ქურდოვანიძე სადავოდ ხდის საარჩევნო კოდექსის 140-ე მუხლის მე-2 ნაწილს და საარჩევნო კოდექსის №2 დანართს. სარჩელს თან ერთვის ამომრჩეველთა ერთიანი სიის ასლი, საიდანაც ირკვევა, რომ ნონა ქურდოვანიძე რეგისტრირებულია ქალაქ დუშეთში თამარ მეფის ქუჩაზე. ეს არის დუშეთის მუნიციპალიტეტის (თვითმმართველი თემი) ადმინისტრაციული ცენტრი. რამდენი მაჟორიტარი დეპუტატი უნდა ჰყავდეს თვითმმართველი თემის ადმინისტრაციულ ცენტრს მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ამ საკითხს არეგულირებს საარჩევნო კოდექსის 140-ე მუხლის მე-2 ნაწილი, სადაც აღნიშნულია, რომ როცა თვითმმართველი თემის ადმინისტრაციულ ცენტრში ამომრჩეველთა რაოდენობა არის 7 000-მდე, აღნიშნული ადმინისტრაციული ცენტრიდან მუნიციპალიტეტის საკრებულოში აირჩევა 1 მაჟორიტარი დეპუტატი. ცესკოდან გამოთხოვილი ინფორმაციით, ქალაქ დუშეთში, 28.01 მაჟორიტარულ ოლქში, ცხოვრობს 5935 ამომრჩეველი. საარჩევნო კოდექსის მეორე დანართის მიხედვით, 28.01 ქალაქი დუშეთის მაჟორიტარული ოლქიდან აირჩევა ერთი მაჟორიტარი.

შეიძლება ითქვას, რომ ქალაქი დუშეთი, დუშეთის მუნიციპალიტეტის სხვა მაჟორიტარულ ოლქებთან შედარებით ყველაზე მრავალრიცხოვანი საარჩევნო ოლქია. 28.02 ჟინვალის მაჟორიტარულ ოლქში ამომრჩევლების რაოდენობა არის 3389, ანანურისა და ჭართალის 28.03 მაჟორიტარულ ოლქში -1964, შატილისა და ბარისახოს 28.04 მაჟორიტარულ ოლქში - 651, ბაზალეთის 28.05 მაჟორიტარულ ოლქში - 3086, ლაფანაათკარის 28.06 მაჟორიტარულ ოლქში - 975, გრემისხევისა და მჭადიჯვრის 28.07 მაჟორიტარულ ოლქში - 2848, ფასანაურის, გუდამაყრის და ქვეშეთის 28.08 მაჟორიტარულ ოლქში - 3580, მაღაროსკარი და უკანაფშავის 28.09 მაჟორიტარულ ოლქში - 735, ჭონქაძის 28.10 მაჟორიტარულ ოლქში - 1875, ჭოპორტის 28.11 მაჟორიტარულ ოლქში - 1649;

საარჩევნო კოდექსის #2 დანართის მიხედვით, ქალაქი დუშეთი დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ირჩევს იმდენივე მაჟორიტარ დეპუტატს, რამდენსაც მუნიციპალიტეტში შემავალი ყველა სხვა ტერიტორიული ერთეული და ეს არის ერთი მაჟორიტარი. ეს ხდება იმის მიუხედავად, რომ ქალაქი დუშეთის მოსახლეობა აღემატება ყველა სხვა დანარჩენი ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობის რაოდენობას. ქალაქ დუშეთის ამომრჩევლების ხმების წონა მნიშვნელოვნად შესუსტებულია შატილისა და ბარისახოს, ლაფანაათკარის, მაღაროსკარისა და უკანა ფშავის მაჟორიტარულ ოლქებში რეგისტრირებულ ამომრჩევლებთან მიმართებაში. ამის მიუხედავად, სადავო ნორმით, ქალაქი დუშეთი არ ირჩევის სხვა ტერიტორიულ ერთეულებთან შედარებით თუნდაც ერთით მეტ დეპუტატს, მხოლოდ იმის გამო, რომ სადავო ნორმით ქალაქი დუშეთის მაცხოვრებლების რაოდენობა 7000 არ აღემატება. ამგვარი ბარიერი არაკონსტიტუციურია, ვინაიდან სხვა მაჟორიტარული ოლქების მოსახლეობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება ქალაქ დუშეთს. ქალაქი დუშეთის ამომრჩევლების რაოდენობა ორჯერ აღემატება სიდიდით მეორე, დაბა ჟინვალის ამომრჩევლების რაოდენობას, ჟინვალის ამომრჩევლების რაოდენობა მნიშვნელოვანად აღემატება სხვა დანარჩენს, ამის მიუხედავად, ყველა ტერიტორიული ერთეული დუშეთის საკრებულოში ირჩევს ერთ მაჟორიტარ დეპუტატს, რაც მთლიან სისტემას აქცევს უსამართლოდ.

ქალაქ დუშეთის მაგალითზე რომ არ არსებულიყო 7000 ამომრჩევლის ჩამკეტი, შესაძლებელი იყო ქალაქ დუშეთს ჰყოლოდა სხვა ტერიტორიულ ერთეულზე ერთით მეტი მაჟორიტარი დეპუტატი, რაც ხმის წონაში გარკვეულ ბალანსს შეიტანდა. ამის მიუხედავად, საარჩევნო კოდექსის 140-ე მუხლის მეორე ნაწილის კონსტიტუციური დეფექტი არის ის, რომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, როგორი შეფარდება აქვს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის მოსახლეობის რაოდენობას ამ მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობის

რაოდენობასთან, ყველა შემთხვევაში მუნიციპალური ცენტრიდან აირჩევა 1 დეპუტატი, თუ ადმინისტრაციული ცენტრის ამომრჩევლების რაოდენობა 7000-ს არ აღემატება, ორი დეპუტატი, თუ ადმინისტრაციული ცენტრის ამომრჩევლების რაოდენობა 7000-ზე მეტია და 14 000-ზე ნაკლებია და სამი დეპუტატი, თუ ამომრჩევლების რაოდენობა 14 000-ზე მეტია. ასეთ პირობებში მნიშვნელოვნად სუსტდება მოსახლეობის უმრავლესობის მქონე ადმინისტრაციული ცენტრის ხმის წონა და მცირდება ამომრჩევლების უმრავლესობის გავლენა წარმომადგენლობით ორგანოზე.

მოსარჩელე გვანცა საკანელაშვილი სადავოდ ხდის რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებას. საარჩევნო კოდექსის 140-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თვითმმართველ ქალაქებში (გარდა ქალაქ თბილისისა) და თვითმმართველი თემების ადმინისტრაციულ ცენტრებში ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებს ქმნიან და მათ საზღვრებს, სახელწოდებებსა და ნომრებს ადგენენ შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიები მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების წლის არაუგვიანეს 1 აგვისტოსი. ამ ნორმით საოლქო საარჩევნო კომისიებს თვითმმართველ ქალაქებში: ბათუმში, ქუთაისში, რუსთავსა და ფოთში მიენიჭათ უფლებამოსილება, საკუთარი შეხედულებით განსაზღვრონ მაჟორიტარული ოლქების საზღვრები. თბილისის შემთხვევაში, კანონმდებელმა შეზღუდა ცესკოს დისკრეცია, მაჟორიტარული ოლქები შეექმნა თბილისის 10 ადმინისტრაციულ ერთეულში. ამგვარ შეზღუდვას კანონმდებელი არ ადგენს 4 თვითმმართველ ქალაქთან მიმართებაში. თვითმმართველი ქალაქების საოლქო კომისიებს აქვთ შესაძლებლობა, საკუთარი შეხედულებით, გაავლონ საზღვრები მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებს შორის. კანონმდებლობა არ ზღუდავს საოლქო საარჩევნო კომისიებს საარჩევნო ოლქებს შორის საზღვრები გაავლოს ისე რომ საარჩევნო ოლქებში შეძლებისდაგვარად თანაბარი რაოდენობის ამომრჩეველი იყოს.

ის, რომ თვითმმართველი ქალაქების მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში არათანაბარი რაოდენობის ამომრჩეველი მოხვდა, ეს განპირობებულია არა საარჩევნო კოდექსით, რომელიც თვითმმართველ ქალაქებთან მიმართებაში მაჟორიტარული ოლქის გეოგრაფიასთან დაკავშირებით დუმს, არამედ საარჩევნო კანონმდებლობის საფუძველზე, საოლქო საარჩევნო კომისიის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული განკარგულებით. საარჩევნო კოდექსი მხოლოდ ამგვარი აქტის მიღების უფლებამოსილებას ანიჭებს საოლქო კომისიას, ისე რომ არ ადგენს იმ პირობებს ან შეზღუდვებს, რასაც ეს კანონქვემდებარე აქტი უნდა აკმაყოფილებდეს. საარჩევნო კოდექსი არ არეგულირებს საკითხს იმასთან დაკავშირებით, სად, რა ტერიტორიაზე, უნდა შექმნას თვითმმართველი ქალაქის საოლქო საარჩევნო კომისიამ მაჟორიტარული ოლქები. შესაბამისად, თუკი საოლქო კომისიების მიერ შექმნილი ასეთი ოლქები არ უპასუხებს ხმათა თანაბარი წონის პრინციპს, კონსტიტუციურობის პრობლემა განკარგულებაშია საძიებელი და არა საარჩევნო კოდექსში, განსხვავებით ქალაქი თბილისისაგან და თვითმმართველი თემებისაგან, როცა საარჩევნო კოდექსი კონკრეტულად ჩამოთვლის იმ დასახლებულ პუნქტებს, სადაც მაჟორიტარული ოლქები იქმნება.

რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებით, ქალაქი რუსთავი იყოფა შვიდ მაჟორიტარულ ოლქად. გვანცა საკანელაშვილი რეგისტრირებულია 20.07 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში. რუსთავის 20.07 მაჟორიტარულ ოლქში რეგისტრირებულია 16315 ამომრჩეველი. ეს მაშინ, როცა რუსთავის 20.02 მაჟორიტარულ ოლქში 100037. შესაბამისად, გვანცა საკანელაშვილის ხმის წონა 16-ჯერ მცირდება რუსთავის 20.02 მაჟორიტარულ ოლქში მცხოვრებ ამომრჩეველთან შედარებით.

ეს საქმე ჰგავს უჩა ნანუაშვილის საქმეს, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ 2015 წელს დააკმაყოფილა, მაგრამ ირაკლი კობახიძე ამბობს, რომ ნაციონალური მოძრაობის, ვანთან და ხონთან დაკავშირებით შეტანილი სარჩელის მსგავსია, რაც 2016 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა. ***აქედან გამომდინარე, ერთი ამბავია ის, რომ ირაკლი კობახიძემ არასწორი ინფორმაცია გაავრცელა, ხოლო მეორე მხრივ, ეს ტყუილი, რომ***

მსგავსი სარჩელი არ დააკმაყოფილა საკონსტიტუციო სასამართლომ, უაპელაციოდ, გადამოწმების გარეშე, გაიმეორა ტელეკომპანია ,,იმედმა“.

ბოლოს ნათია სონღულაშვილი ამბობს: ***,,საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ არჩევნებამდე ორი კვირით ადრე შეიტანა, თუმცა, ამის შესახებ თავად არ უსაუბრიათ. მათ გეგმებზე ინფორმაცია პარტია ,,ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ბრიფინგზე გუშინ გახმოვანდა.“ აღნიშნული ასევე არის მცდარი ინფორმაცია, რომელსაც მაყურებელი შეჰყავს შეცდომაში.***

სადავო სიუჟეტის - https://www.facebook.com/watch/?v=264276005548777 - იმ ნაწილში, რომელშიც საია-ს თავმჯდომარეს, ნიკოლოზ სიმონიშვილს ეკითხებიან სარჩელთან დაკავშირებით, დამახინჯებულია ამ უკანასკნელის კომენტარი და კითხვებზე პასუხები. სიუჟეტი ისეა დამუშავებული, რომ ფაქტები არასწორად არის წარმოდგენილი და ქმნის ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს საია-ს წარმომადგენლები საია-ს მიერ შეტანილ სარჩელთან დაკავშირებით გაესაუბრნენ სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებს, რაც არასწორია.

მეორე სადავო სიუჟეტში - https://www.imedi.ge/ge/video/81282/saias-sarcheli#!?page=67 - 14:00 საათიან ქრონიკაში, წამყვანი ლევან კვატაშიძე ამბობს: ,,კითხვაზე, რატო არ გამოხატეს ოლქების საზღვრებზე ამ დრომდე პოზიცია, ამბობენ, რომ პოლიტიკურ პარტიებთან შეხვედრები ჰქონდათ, თუმცა, კონკრეტულად ვისთან, საია-ს თავმჯდომარე არ ასახელებს. ცნობისთვის, საია-ს სარჩელის შესახებ გუშინ პარტია ქართული ოცნების თავმჯდომარის გამართული ბრიფინგიდან გახდა ცნობილი.“

მესამე სადავო სიუჟეტში - https://www.imedi.ge/ge/video/81297/qronika-1700-saatze--20-seqtemberi-2021-tseli#!?page=67, 2:09 წუთიდან 17:00 საათიან ქრონიკაში, ჩანაწერის 2:09 წუთიდან ნინო თოლორდავა ამბობს: ,,კითხვაზე, რატომ არ გამოხატეს მათ ოლქების საზღვრებთან დაკავშირებით ამ დრომდე პოზიცია, ამბობენ, რომ პოლიტიკურ პარტიებთან შეხვედრები ჰქონდათ და ეს საკითხი სწორედ ამ შეხვედრებზე განიხილეს, თუმცა, კონკრეტულად ვის შეხვდა ორგანიზაცია, საია-ს თავმჯდომარე ამას არ ასახელებს. საია-ს სარჩელის შესახებ ცნობილი პარტია ქართული ოცნების თავმჯდომარის გუშინ გამართული ბრიფინგიდან გახდა.“

სამივე სადავო სიუჟეტში ნათია სონღულაშვილი და წამყვანები ამბობენ, რომ სარჩელს საია მალავდა და ამის შესახებ ქართული ოცნების ბრიფინგით გახდა ცნობილი, რაც ასევე მცდარია. საია-ს განცხადება სარჩელის შესახებ გამოქვეყნდა 2021 წლის 18 ოქტომბერს. ეს რელიზი გაგზავნილი ჰქონდა ყველა მედიას, მათ შორის ტელეკომპანია ,,იმედს“ და მის შესახებ იმავე დღეს არაერთი მედიით გავრცელდა ინფორმაცია. ჟურნალისტს უნდა გადაემოწმებინა ეს ფაქტიც, რაც არ გაუკეთებია. საია-ს განცხადება მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების საზღვრების არაკონსტიტუციურად ცნობასთან დაკავშირებით 2021 წლის 18 სექტემბერს გავრცელდა. განცხადების გავრცელების დღეს სიახლე ონლაინ გამოცემებში გამოქვეყნდა:

1. ნეთგაზეთი
2. ონ ჯი
3. პუბლიკა
4. ნიუს ჯი
5. ghn.ge
6. newposts.ge

7. lpn.ge

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ტელეკომპანია ,,იმედის“ ჟურნალისტი, ნათია სონღულაშვილი გამოირჩევა აგრესიით საია-ს მიმართ. როდესაც ის ინტერვიუს წერდა საია-ს თავმჯდომარესთან, ჟურნალისტი ერთსა და იმავე კითხვას იმეორებდა რამდენჯერმე, მიუხედავად იმისა, რომ თავმჯდომარე პასუხობდა მის კითხვას. მისი სიტყვებიდან იკვეთებოდა მისი მიკერძოებულობა და აგრესიული დამოკიდებულება. აღნიშნულს შეესწრო საია-ს მოქმედი თანამშრომელი, გიორგი ანთაძე. თუ ქარტია საჭიროდ ჩათვლას მის დაკითხვას, მზად ვართ უზრუნველვყოთ მისი წარმოდგენა ზეპირ სხდომაზე. მის მიმართ საია-ს მიერ შეტანილი განცხადების საფუძველზე ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭომ ერთხელ უკვე დაადგინა, რომ ნათია სონღულაშვილმა დაარღვია ქარტიის 1, მე-3, მე-5 და მე-11 პრინციპი - https://www.qartia.ge/ka/gadatsyvetilebebis-dzebna/article/73985-gadatsyvetileba-saqmeze-saia-nathia-songhulashvilis-tsinaaghmdeg. ჟურნალისტს ,,ქართული ოცნების“ დეპუტატებთან აკავშირებს ახლო მეგობრობა, რის გამოც ცდილობს საია-ს დისკრედიტაციას და არასწორი ინფორმაციის გავრცელებას. ***2019 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებაში საქმეზე N 272 - საია ნათია სონღულაშვილის წინააღმდეგ*** მითითებულია, რომ *ჟურნალისტმა სიუჟეტი მოამზადა ცალმხრივად, ყოველგვარი ბალანსის დაცვის გარეშე და სრულად იქნა უგულვებელყოფილი მაყურებლის უფლება, რომ მიიღოს გადამოწმებული ინფორმაცია.* ქარტიის მე-11 პრინციპის თანახმად, „**ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები: ფაქტის განზრახ დამახინჯება**“. ეს პრინციპი ქარტიის საბჭომ დარღვეულად მიიჩნია რამდენიმე ასპექტით, მათ შორის, იმ კუთხით, რომ ტელეკომპანია იმედისათვის დამახასიათებელია არასამთავრობო სექტორის დისკრედიტაცია, რაც კამპანიურ ხასიათს ატარებს:

3.1. საქმეში „ლევან ნატროშვილი ანუკი გუმბერიძის, ლევან ჯავახიშვილის და თეონა გეგელიას წინააღმდეგ“ ქარტიის საბჭოს დაადგინა რომ ტელეკომპანია იმედის სიუჟეტში „მესამე სექტორმა ყალბ მოწმობებთან დაკავშირებით გავრცელებული ცნობის არასანდოობა აღიარა“ გავრცელდა არასწორი და მანიპულაციური ინფორმაცია - არასამთავრობო ორგანიზაცია საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველოზე/მის წარმომადგენელზე.

3.2. 2019 წლის 02 მაისს ტელეკომპანია იმედის მიერ ასევე მომზადდა სიუჟეტი - „საიას შუალედურმა ანგარიშმა ორგანიზაციის სამართალმცოდნეების კვალიფიკაცია ეჭქვეშ დააყენა“, სადაც ასევე გაკრიტიკებულია საია და გარკვეულწილად მათი ქმედების შეფასება ხდება მოსახლეობის რელიგიურ გრძნობებზე მანიპულაციით.

4. ქარტიის საბჭოს დაკვირვებით, მოძიებული სიუჟეტებით აშკარაა იმედის მიერ ხელისუფლების მხარდამჭერი სარედაქციო პოლიტიკის გატარება. ტელეკომპანია იმედი არაერთხელაა მხილებული ხელისუფლებისადმი ლოიალური საინფორმაციო კამპანიით, იმედის მთავარი საინფორმაციო გამოშვებები ხშირად არის ხელისუფლების მიერ ორგანიზებული, დაგეგმილი ნარატივის გამტარებელი. აშკარაა, რომ ის უმეტესწილად უზრუნველყოფს ხელისუფლების მიერ “ამოჩემებული” პერსონების თუ ორგანიზაციების “გაშავებას”, რასაც ადასტურებს მედიამონიტორინგები.

საბჭომ მიიჩნია, რომ ყოველივე ეს დადასტურება იყო სადავო სიუჟეტის განზრახულობის, ამიტომაც დაადგინა მე-11 პრინციპის დარღვევა. სიუჟეტში დაშვებული ეთიკური გადაცდომები არ იყო უნებლიე და ემსახურებოდა კონკრეტული, დამახინჯებული გზავნილების აუდიტორიამდე მიტანას.

ქარტიის 2020 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით საქმეზე N 356, 357 - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ლევან ქათამაძე რუსა შელიას და ვაკა გორგილაძის

წინააღმდეგ, დადგინდა, რომ რუსა შელიამ და ვაკა გორგილაძემ დაარღვიეს ქარტიის პირველი, მე-5 და მე-11 პრინციპი - https://www.qartia.ge/ka/gadatsyvetilebebis-dzebna/article/85736-saqarthvelos-akhalgazrda-iuristtha-asociacia-levan-qathamadze-rusa-shelias-da-vaka-gorgiladzis-tsinaaghmdeg.

ქარტიის მე-11 პრინციპთან დაკავშირებით, საბჭოს მოსაზრებით ყოველივე ზემოაღნიშნული განზრახ მოხდა. ტელეკომპანია იმედის სარედაქციო პოლიტიკაში მკვეთრად არის აქცენტირებული არასამთავრობო ორგანიზაციების დისკრედიტაცია და მათი საქმიანი რეპუტაციის შელახვა. ეს დასტურდება ქარტიის საბჭოს გადაწყვეტილებებით, მაგალითად გადაწყვეტილება საქმეზე „ლევან ნატროშვილი ანუკი გუმბერიძის, ლევან ჯავახიშვილის და თეონა გეგელიას წინააღმდეგ“, „საია ნათია სონღულაშვილის წინააღმდეგ“. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე საბჭო მივიდა დასკვნამდე რომ განსახილველი სიუჟეტიც ამ კამპანიის ნაწილია და ჟურნალისტებმა განზრახ გაავრცელეს არასწორი ინფორმაცია.

ქარტიის პირველი პრინციპის თანახმად, ,,ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.“

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ 2021 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებაში საქმეზე N - 456 - კავკასიის უნივერსიტეტი ეთუნა ინწკირველის და მირანდა ბაღათურიას წინააღმდეგ, საბჭომ აღნიშნა, რომ პირველი პრინციპის დარღვევის დასადასტურებლად აუცილებელი არ არის, საბჭომ ზუსტად დაადგინოს, გავრცელებული ინფორმაცია შეესაბამებოდა თუ არა სიმართლეს; საბჭო ჟურნალისტურ პროდუქტს აანალიზებს აუდიტორიის პოზიციიდან და ცდილობს გამოიკვლიოს, რამდენად სცა ჟურნალისტმა პატივი საზოგადოების უფლებას, მიიღოს ზუსტი ინფორმაცია. სწორედ იმ ძალისხმევას აფასებს, რაც ჟურნალისტმა გასწია ინფორმაციის გადასამოწმებლად. რესპონდენტის მიერ ინფორმაციის მიწოდება არ ათავისუფლებს ჟურნალისტს მისი გადამოწმების მოვალეობისაგან, ვინაიდან გადამოწმების გარეშე აუდიტორია მხოლოდ ცალმხრივ და დაუბალანსებელ ინფორმაციას იღებს. განსახილველ შემთხვევაში ცალსახაა, ჟურნალისტმა არ გამოიჩინა ძალისხმევა, რომ ორივე მხარის პოზიციის შემცველი, გადამოწმებული ინფორმაცია მიეწოდებინა მაყურებლისათვის. საბჭო იზიარებს განმცხადებლის პოზიციას, რომ თუ ჟურნალისტმა ვერ მიიღო კომენტარი კახა შენგელიასაგან, შეეძლო დაკავშირებოდა საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს და მისგან მიეღო განმარტება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინფორმაციის გადამოწმების გარეშე გავრცელებით, ჟურნალისტებმა დაარღვიეს ქარტიის პირველი პრინციპი.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ 2019 წლის 07 ივნისის საქმეზე N 275, ლელა კურდღელაშვილი მარიამ გაფრინდაშვილის წინააღმდეგ, დაადგინა ეთიკის მე-11 პრინციპის დარღვევა, ფაქტის განზრახ დამახინჯება. საბჭომ განხილვისას დაადგინა, რომ სიუჟეტი ლელა კურდღელაშვილის ეპიზოდში იყო არაზუსტი, ჟურნალისტს სათანადოდ არ გადაუმოწმებია. უფრო მეტიც, ამბის სრულად გადმოსაცემად აუცილებელი იყო მოპასუხე მხარის პოზიციაც გაეცნოთ მაყურებლისთვის, ჟურნალისტმა კი ეს პოზიცია იცოდა, ჰქონდა ჩაწერილი კომენტარი, თუმცა, სიუჟეტში არ აჩვენა. ეს ყველაფერი მიანიშნებს, რომ ჟურნალისტის, რედაქციის პოზიცია იყო წინასწარ განზრახული და სიზუსტის დარღვევა არ მომხდარა შემთხვევით, გაუთვალისწინებლად.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ 2020 წლის 28 ნოემბრის საქმეზე N – 419, გიორგი ნიორაძე commersant.ge-ის არადეინტიფიცირებული ჟურნალისტის წინააღმდეგ, დაადგინა ქარტიის მე-11 პრინციპის დარღვევა, კერძოდ, ფაქტის განზრახ დამახინჯება. გადაწყვეტილებაში მითითებულია: ქარტიის საბჭომ არა ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ არასწორი ინფორმაციის პერმანენტულად გავრცელება ერთი მედიასაშუალების მიერ კონკრეტულ სუბიექტზე მიანიშნებს განზრახვაზე და შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში დაირღვა მე-11 პრინციპი.

ქარტიამ 2019 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილებაში საქმეზე N 301 - რომან გოცირიძე geotimes.ge-ს არაიდენტიფიცირებული ჟურნალისტის წინააღმდეგ, პირველი პრინციპის ჭრილში მსჯელობისას აღინიშნა, geotimes.ge-ს მიერ გავრცელდა არასწორი, ყალბი ინფორმაცია, შესაბამისად საბჭოს უნდა შეეფასებინა გავრცელების საფუძველი იყო თუ არა განზრახვა

1. მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი წყარო არ ადასტურებდა, ვერ ხდებოდა გადამოწმება, მედიასაშუალებამ მაინც გადაწყვიტა ყალბი სტატუსის შესახებ ინფორმაციის გავრცელება, სათაურად, მტკიცებით ფორმაში გამოიტანა ციტატა ყალბი სტატუსიდან.
2. თავად ყალბი პოსტის შინაარსი იყო იმგვარი, რომ იწვევდა ნეგატიურ დამოკიდებულებას და შეფასებას რომან გოცირიძის მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნული ქარტიის საბჭოს აძლევს იმის დასაბუთებულ ვარაუდს, რომ მედიასაშუალებისათვის წინასწარვე ცნობილი იყო ინფორმაციის სიყალბის შესახებ, მაგრამ რომან გოცირიძის დისკრედიტაციის მიზნით მაინც განზრახ გამოაქვეყნა არასწორი ინფორმაცია.

ქარტიამ 2020 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებაში საქმეზე N – 371**,** უსფ ბრიტანია ქონსთრაქშენ მაკა ჩიხლაძის წინააღმდეგ, როგორც თავად ჟურნალისტმა დაადასტურა, იგი იცნობდა კომპანიის დოკუმენტებს [ამონაწერი სიუჟეტშივე ჩანს] და სატენდერო დოკუმენტაციას, შესაბამისად, მისთვის ცნობილი იყო, რომ რემონტდებოდა გულუას N 10 ში მდებარე შენობა და არა იმავე ქუჩის N 8-ში არსებული ფართი. მისთვის ასევე ცნობილი იყო, რომ კომპანიამ წარადგინა გამოცდილებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები. მიუხედავად ამისა, ჟურნალისტმა მაინც არასწორი ინფორმაცია გაავრცელა, რაც საბჭოს აძლევს იმის საფუძველს, დაადგინოს, რომ ადგილი ჰქონდა ფაქტების განზრახ დამახინჯებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ითხოვს:

1. დადგინდეს, რომ ჟურნალისტმა ნათია სონღულაშვილმა დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველი და მე-11 პრინციპი.
2. დადგინდეს, რომ ჟურნალისტებმა/წამყვანებმა: ლევან ჯავახიშვილმა, ხატია ქვათაძემ, ლევან კვატაშიძემ და ნინო თოლორდავამ დაარღვიეს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველი პრინციპი.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. **:** ვეთანხმები